გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


**შინაარსი:** ტფილისი, 18 ივნისი.—ახალი ამბავი.—დაბა და სოფელი: სოფ. ლისაური. — ნარკვევი. — რუსეთი. — უცხოეთი. — გასართობი.— დეპეშა.—საკალენდარო ცნობანი.—საჭირო ცნობანი და განცხადებანი.

**ფელეტონი:** რა დროს და საიდგან შემოიღეს ქართული ანბანი, მ. ჯანაშვილისა.

ტფილისი, 18 ივნისი

ეხლანდელი დრო ევროპაში სრული, განუკითხველი სამზღვარ-დაუდებელი ბატონობაა პოლიტიკისა: ყველაფერი მას ედება მტვრად, მას ეგება ფეხთა ქვეშ ფიანდაზად. კაცთა საზოგადოების აგებულებაში ბევრი იმისთანა ღონეა, ბევრი იმისთანა საქმე და საგანი, რომელნიც ბუნებითაც თავისით უნდა არსებობდნენ, თავისით მოქმედებდნენ თვით საზოგადოების დღეგრძელობისა და კეთილ-დღეობისათვის. დღეს არც ერთი ამისთანა ღონე, საქმე და საგანი არ გადაურჩა პოლიტიკას უიმისოდ, რომ ქვეშ არ ამოედო, თავის მოთხოვნილებისათვის არ გაეწირა, თავის გაჭირების სახსარად არ ეხმარა, ერთის სიტყვით, თავის ხიდად არ გაედო, თავის მსახურად არ გადაექცია.

სწავლა-განათლება, სარწმუნოება, მართლ-მსაჯულობა იმისთანა ძალ-ღონენი არიან კაცთა საზოგადოებისათვის, რომ თვითვეულს ამათ თავისი საკუთარი აზრი და გზა აქვს, და მარტო მაშინ არიან სახეირო და საკეთილონი კაცთათვის, როცა მხოლოდ თავის თავს ემსახურებიან, მხოლოდ თვითონ არიან თავის თავისვე საგნად. რაკი იგინი თავის საკუთარს თავს გადუდგებიან და სხვისა რისამე ყურ-მოჭრილ ყმად გახდებიან, სხვას რასმე ხიდად გაედებიან, მაშინ მათგან ნუღარ მოელოდებით იმ სიკეთეს, რისთვისაც იგინი ბუნებითად უნდა არსებობდნენ. მაშინ არც სწავლა-განათლებაა სწავლა-განათლება, არც სარწმუნოებაა—სარწმუნოება, არც მართლ-მსაჯულებაა—მართლ-მსაჯულებაა.

ეგეთი დაქვეითება ერთისაც, მეორისაც და მესამისაც მით უფრო ადვილად შესაძლებელია, რომ თვითვეული მათგანი მეტად ძლიერ ღონეს წამოადგენენ ხელ-გამომავალ კაცისათვის საბოროტოდ და საკეთილოდაც. იგინი იმისთანა ბუნებისანი არიან, რომ სხვისა რისამე სახსრადაც მოიხმარებიან და თავის თავის საგნადაც. ამ ორ კეც ბუნებისაგან შესაძლებელ შეიქმნა, რომ სკოლა და ეკკლესია ერთს დროს ევროპაში თავის თავის აზრსა და საგანს-კი აღარ ეტანებოდა, თავის-თავს-კი აღარ ემსახურებოდა, არამედ იმაზედ მიიმართა, რომ ბეგარა და ღალა პოლიტიკისათვის ეხადნა და ეძლია. არ ითქმის, რომ დღესაც ეს გარემოება არა სჩაგრავდეს ევროპაში სკოლასა და ეკკლესიას და ეს ბევრს და ბევრგან აფერხებს იმ უწმინდაესს საქმეს, რომელსაც სკოლა და ეკკლესია უნდა უძღვებოდეს და წინა სწევდეს.

ჭეშმარიტება, რომელსაც საცნაურად ჰხდის ცოდნა და რომელსაც გზას უკაფავს სკოლა, ღმერთი, რომელსაც კაცის გულში ჩასახავს ხოლმე სარწმუნოება, ეს ორი იმისთანი საგანია,ურომელთოდაც შესაძლებელად წარმოუდგენელია კაცთა საზოგადოების არსებობა. ამიტომაც ერთი მარტო ჭეშმარიტებას უნდა ემსახურებოდეს და მეორე ღმერთსა—სხვა საგანი ამათ არ უნდა ჰქონდეს და ვინც ან ერთს, ან მეორეს სხვა რაზედმე მიაქცევს, იგი აუპატიურებს ერთსაც და მეორესაც.

დღევანდელი გერმანია ერთი იმისთანა სახელმწიფოა დღეს, საცა სკოლა და ეკკლესია ყურ-მოჭრილ ყმად გაიხადა თ. ბისმარკმა და თავის ნებისამებრ იმსახურებს. ერთიც და მეორეც თითქმის პოლიტიკას ანაცვალა, თითქო ქვეყანაზედ პოლიტიკის მეტი სხვა არა არის-რა კაცთა ხსნისათვისაო. ხოლო ეს ამბავი ევროპისათვის ახალი ამბავი არ არის: დიდი ხანია რაც სკოლას და ეკკლესიას ასე ექცეოდნენ ევროპაში და ბევრმა ქვეყნის გულ-შემატკივარმა კაცმა დაჰქლია თვისი სიცოცხლე სკოლისა და ეკკლესიის თავისუფლად მყოფობისათვის, პოლიტიკის გარე არსებობისა და მსვლელობისათვის.

ხოლო ახალი აი რა არის ევროპის ცხოვრებაში, ბისმარკის წყალობით დღეს სათავე-გახსნილი. დღეს აქამომდე პოლიტიკა ცოტად თუ ბევრად ერიდებოდა მართლ-მსაჯულობის დაჩაგვრასა და ხელში ჩაგდებასა თავის სურვილისამებრ მოსახმარებლად და გამოსაყენებლად. და თუ სადმე ამ მხრით მართლ-მსაჯულება იჩაგრებოდა, ამას იმოდენად ჰთაკილობდნენ მჩაგვრელნი, რომ ჰცდილობდნენ არ გამოქვეყნებულიყო, არ გამომჟღავნებულიყო მათთა სამარცხვინოდ და ყოველს ღონეს ჰხმარობდნენ როგორმე შინვე დაემალათ.

ვერ ვიტყვით, რომ ამ დაჩაგვრის მაგალითები ცოტა იყო ისტორიაში, მაგრამ ასე აშკარად, ასე გადნიერად, თითქო თავ-მოსაწონებელი რამ არისო, არსად ყოფილა, როგორც დღეს გერმანიაში მოხდა თ. ბისმარკის ბძანებითა, როცა ლეიპციხში ასამართლებდნენ ელზას-ლოტარენის მკვიდრთა მითამდა სახელმწიფოს ღალატისათვის. რა თქმა უნდა, სასჯელი გადუწყვიტეს ზოგიერთს მათგანს და ჩვენ იმის განსაჯაში არ შევალთ თუ,—რამოდენად სამართლიანად მოიქცა ლეიპციხის სამჯავრო და რამოდენად საბუთიანი იყო ბრალდება შესახებ იმ ელზას-ლოტარენის მკვიდრთა, რომელნიც გერმანიის ქვეშევრდომებად ითვლებიან. საქმე ის არის, რომ სასჯელი გაჩინეს და გერმანიის მოღალატედ იცნეს საფრანგეთის ქვეშევრდომი, საფრანგეთის ჯარის აფიცერი ბ-ნი კორდონი, რომელიც ელზას-ლოტარენში სცხოვრებდა ჯეროვანის ნებართვითა. მთელი ბრალდება რომ კაცმა კარგად გასჩხრიკოს, დაინახავს, რომ იგი განგებ გასიებული და გაზვიადებული უმაღლესის ბძანებითა: ბრალმდებელი, ვითარცა ყურ-მოჭრილი მონა თ. ბისმარკისა, ბევრსა ჰცდილობდა ეგ გასიება და გაზვიადება როგორმე გარედამ შეელესა, შეეკლისა, რომ არარაობა დაემალა, მაგრამ მისმა ოსტატობამაც ვერა ჰქმნა-რა. გამოჩნდა, რომ ლეიპციხის მართლ-მსაჯულობამ ბუზს აქლემი აშობინა. ეს შეგლესილი ფერ-უმარილი რომ ჩამოაბანოთ ამ ბრალდებასა, ცხადად დაინახავთ, რაშიაც მდგომარეობდა არსება ბრალისა: იმათ დანაშაულად ის აღმოჩნდა, რომ საფრანგეთი უფრო მეტად ჰყვარებიათ, ვიდრე გერმანიაო.

ვსთქვათ, ეს დანაშაულობად ჩასათვლელია გერმანიის ქვეშევრდომთათვის, მაგრამ ეს დანაშაული სასაცილოდ ჰხდება, როცა საფრანგეთის ქვეშევრდომზეა გადატანილი. მაშ ბ-ნ კორდონს, საფრანგეთის შვილს, საფრანგეთი უფრო ნაკლებ უნდა უყვარდეს, ვიდრე გერმანია, რომელმაც ერთს დროს ცხვირ-პირი დაამტვრია მის სამშობლოსა, ორი პროვინცია წაართვა

# ფელეტონი

## რა დროს და საიდგან შემოიღეს ქართული ანბანი

(ილია ოქრომჭედლიშვილის წერილის გამო „ვინ მოიგონა ქართული ანბანი“.)

(შემდეგი*)

პატივცემულ კლერკს რომ მიექცია ყურადღება შემდეგ მრავალ სახელებისათვის, რომელნიც მოიპოვებიან მისირიაში ძველის დროიდგანვე, უეჭველად მათაც ქართულებად იცნობდა. მაგალითად: თიეი ანუ თიბი [49]), რომელიც ჰნიშნავს თეეს და ამ სიტყვას იქნება ნათესაობა ჰქონდეს ჩვენ თიბათვესთან. აგრეთვე სახელები დაბებისა და ქვეყნებისა: სურამ, საის (ცაის ანუ ცაიშ?), ტანის (ტანა?), ხონსა (ხონი?), სან, ქსოისი, ტინი, მახათა, ცა, მრაბ (შენობათა ამგებელი), მათარა, ჩან-კარა, სეირი, ბარკალ, ონი (ქალაქი, ბაკა, ბაკანა (ხალხი), კუკი (ქალაქი), გურიანი (ქვეყანა), კაცი (ციხე), ოპიპი (მეფის სახელია), ენ და ან (თვალი), ბენ და ლან (გვარი), ონ და უნ (მზე), კან (ხალხის სახელი), კერ-ნეტერ (კარნეტარ), გაბაონ (ქვეყნის სახელი), ტეს-გორ, ტენ (ა-ტენ, გარდატენ?), თსამ (თეძამ?), გორთი, აბოტ (აბოც), უნ, ათი, ხევ, სამ-გუთ, სენთ-გორ, შუა და სხ. [50]) ღმერთის სახელები: გორუს, გორ, სამთა, მენდის, ანუკა და სხ. ვამბობთ ყველა ეს სახელები და სიტყვები რომ გაერჩია გაიდ კლერკსა, მაშინ, უეჭველია, იტყოდა, რომ ზოგიერთი ამ სიტყვებიდამ შეუცვლელად მოიპოვებიან ქართულს ენაშიაც და საქართველოშიაცაო; მაგალითად ქსოისი, თიბი ანუ თიბათვე, ათი, ხევი, გორი, სურამ, გაბაონი, ანუკა, ონი, ხონი, სეირი, ცა, მახათა, ბაკანა (ინგილოები კუს უწოდებენ კუ-ბაკანას) და სხ. კერ-ნეტერი მისირიულად ჰნიშნავს ნეტარების კარს, ესე იგი მისირიელთ წარმოდგენილი აქვთ, რომ არსებობს ორი კარი, ერთ მათგანს ჰქვიან კერ-ნეტერი, საიდგანაც უმანკოთა სულნი შედიან სანეტარო სადგურს [51]) (სამოთხეში). გულითადი ლოცვა ინგილოებისა უფლის მიმართ არის თხოვნა: გამჩენელო, შენის კარის ჰირიმე, ნეტარებაში შემიყვანეო.

ამ ნაირად ახსნის საბუთიც ექმნება კლერკს, რადგან ესეთი განსაცვიფრებელი მზგავსება ქართულის სიტყვებისა და სახელებისა მისირიულ სიტყვებსა და სახელებთან აიხსნება არა შემთხვევით, არამედ ისტორიულის მიზეზით.

იმის გარდა, რასაც ჩომერი, ჩეროდოტი, ქსენოფონტი და სხ. გარდმოგვცემენ ქართველთა ძველის დროის მისვლა-მოსვლისა და აღებ-მიცემობის თაობაზედ ფინიკიელებთან, ეთიოპელებთან და მისირიელებთან და ეთიოპელების დასახლებაზე კოლხიდაში, არსებობს კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც, ჩვენის აზრით, შეუძლიან რამდენადმე ნათელი მოჰფინოს ხსენებულ ჩვენისა და მისირიულ სახელების კავშირის ისტორიას.

2214 წ. [52]) ქრ. უწინარეს მისირია დაუპყრიათ აზიიდგან გამოსულ მენახირეთა, რომელთაც ჰრქმევიათ მენა [53]). ამ მწყემსებს 400 წ. უუფლიათ მისირიაში, აუგიათ ქალაქები, ძეგლები და დაუარსებიათ ტაძრები. სხვათა შორის უმთავრესს ტაძრად გაუხდიათ თვისის წინანდელ ქვეყნის (კიტეას, ქეთეას) ღმერთის სუთეკას სახელობაზე აგებული ტაძარი.

ეს მენახირე ერი ნამდვილად არა სჩანს, თუ რომელის ტომის ერი იყო. ლენორმანს ჰგონია, რომ იგი ერი არაბის ტომისა უნდა იყოსო. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ა) ქეთეელები ყოფილან მთიული ხალხი, რომელიც ფრიად ჩრდილოეთისკენ სცხოვრებდა ქეერონელებზე, სახელდობრ ზღვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კუთხეში [54]); ბ) ამ ქეთეელებს და მათ ქალაქს ქეთეიას იხსენიებს თვით ჩომიროსი, როდესაც აღწერს პონტის ზღვის ახლო მცხოვრებ ხალხს; გ) ეს მწყემსები თეთრის სახისანი, მაღალნი, წელ-წერწეტნი, მეომარნი ყოფილან; დ) ამ ხალხს ჰრქმევია «მენა», რადგან მენახირეობის მიმდევარნი ყოფილან [55]) და ე) მისირიელები, შემდეგ მენახირეების უღლის მოშორებისა და მათის განდევნისა თავიანთსავე ქვეყანაში, უალრესად რომ გაძლიერ ნენ, დაიპყრეს დიდი ნაწილი აფრიკისა და გადმოვიდნენ მცირე-აზიაში; მაშინ ქეთელებთან იბრძოლეს **ორონთას** ველზედ და აიღეს ამ ველის დამცველი ციხე **კადეში** და შეიპყრეს **სინგარას** მთავარი, დაამარცხეს ქეთეელები, რომელნიც დამორჩილდნენ მტერს და ნიშნად მორჩილებისა წარუდგინეს **ამანა** [56]). ვამბობთ, ვიქონიებთ რა სახეში ყოველსავე აქ თქმულს შესახებ ქეთეელებისა ანუ მწყემსებისა, რომელთაც დაიპყრეს მისირია, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ძლიერი მწყემსები, ქეთეას ქვეყნელები, ყოფილან ქუთაიელები ანუ ქართველები. აი ამ ნაირის მოსაზრების საბუთიცა.

ა) ძველნი მწერალნი, როგორც ზემოდ ვსთქვით, საქართველოში იხსენიებენ მთიულ მეომარ ხალხს, რომელიც მწყემსობით იოლად მიდიოდა; ბ) მისირიაში შესეულ ხალხის სახე, კანის ფერი ემსგავსება ქართველებისას და არაფერი მზგავსება არა აქვს არაბის ტომის ერთა სახესა და ფერთან; გ) მათი წოდება **მენა** შესაძლებელია იყოს შემოკლებული ქართული სიტყვა **მენახირე** და **ამანა**—ამანათი; დ) სინგარა, საცა მისირიელებმა შეიპყრეს ქეთელების მთავარი, როგორც ჰხსნის კლერკი, არის ქვეყანა ქართველთა (იხ. ზემოდ); ე)

*) იხ. „ივერია“ № 122.

[49]) ეს სიტყვები მოგვყავს ფ. ლენორმანის ზემორე ხსენებულ წიგნიდამ და ბრუგშის წიგნიდამ „Лѣтоп. и памятн. древн. народовъ Египта.“ კაბადონებს არ ვუჩვენებთ, რადგან ერთის რომელისამე კაბადონიდამ არა გვაქვს ამოღებული ეს სიტყვები, არამედ მთელის წიგნიდამ მოგვყავს.

[50]) ამ ქვეყანას იხსენიებს აგრეთვე ბეკკერი თავის „Путеш. къ истокамъ Нила“. ამას გარდა იმავე წიგნში ბეკკერი ამბობს, რომ ამ ხალხის ენაზე სამხედრო საყრავს ნოღარა ჰქვიანო (გვ. 139), ბარი ჰქვიან ხალხსაო, ასია—მდინარესა. საკვირველი ის არის, რომ რაც ბეკკერს ადგილობრივი სიტყვები მოჰყავს, თითქმის სულ მთლად ქართულის სიტყვების დაბოლოვება აქვთ. აგრეთვე ნუ დავივიწყებთ ეთიოპიაში მდებარე აფრიკის ტბას—ჩადს. ჩადი ინგილურად ჰქვიან ერთ ნაირ მცენარესა, რომელიც მარტო ტბისა და გუბეების პირებზე იზრდება. ამიტომაც ხშირად გვხვდება ამ ქვეყანაში „ჩადიან-გუბი“ (ტბა ქართულად).

[51]) ლენორმანი, გვ. 171.

[52]) მენათა ანუ მწყემსთა მთამომავლობა მისირიის ტახტზე ალვიდა ამ ნაჩვენებ წელს ქ. უწინარეს (ტაბლიცა ლენორმანისა, გვ. 19).

[53]) ლენორმანი, გვ. 51.

[54]) ლენორმანი, გვ. 112, შენიშნვა.

[55]) ლენორმანი, § 3.

[56]) იქვე.

და 1875 წელს რომ იმპერატორი ალექსანდრე II არ გამოსარჩლებოდა, ბისმარკი ხელ-მეორედ უპირებდა აოხრებასა და მიწასთან გასწორებასა? ეს მეტის-მეტი გადნიერებაა ადამიანის ბუნების წინაშე, მეტის-მეტი თავ-გასულობაა და არარად ჩაგდებაა არამც თუ მართლმსაჯულობისა, რომლის მართლად სვლა და სისწორე თავდებია კაცთა მშვიდობიანობისა, კაცთა ბედნიერებისა, არამედ შეგინებაა იმ უუწმინდაესის გრძნობისაცა, ურომლისოდაც ადამიანი უბინაო, უთვისტომო მხეცი და ნადირია.

არა გვგონია, ამ ამბავმა უქმად ჩაუაროს გერმანიას და საფრანგეთს გული არ აუმღვრიოს. განა ადვილად მოსათმენია, ადვილად ასატანია, რომ სახელმწიფოს ქვეშევრდომი დაუსაჯეს და ბრალად დასდეს, — შენი ქვეყანა სხვისა ქვეყანაზედ მეტად რად გიყვარსო? ჩვენა გვგონია, რომ საფრანგეთი ამაზედ ხმას ამოიღებს და შნებელეს საქმეზედ არა ნაკლებ აალაპარაკებს საფრანგეთის ერსა. დღესა თუ ხვალ გავიგებთ ეხლანდელი სამინისტრო საფრანგეთისა როგორ მოუვლის და უპატრონებს ამ საქმესა. ჩვენ-კი მარტო ის უნდა ავვენიშნა, რომ დროთა ნიშანია მიდრეკა მართლა მსაჯულობისა და ამ გვარად ხიდად გადება მისი პოლიტიკის მიმოსვლისათვის. ბევრი კარგი მაგალითი უჩვენებია თ. ბისმარკს ქვეყნისათვის და ეს მართლმსაჯულობის ფიანდაზად გაშლაც პოლიტიკის ფეხთა ქვეშ ერთი იმათგანი იყოს. რაღა დარჩა ბისმარკს ქვეყანაზედ, რომ პოლიტიკას ზედ არ შეაკლას და არ ანაცვალოს!

## ახალი ამბავი

*** როგორც გავიგონეთ, 1-ლ ივლისიდგან ქუთაისში განუზრახავთ გამოცემა გაზეთისა რუსულს ენაზედ. ამ გაზეთს სახელად ერქმევა „ქუთაისის გუბერნიის უწყებანი“ და გამოვა კვირაში ერთხელაო. გაზეთი ღირს წელიწადში სავალდებულო ხელის-მომწერთათვის 3 მან. და არა-სავალდებულოთათვის 5 მან. ქუთაისში და ქუთაისს გარედ-კი 6 მანათი. ეს გაზეთი განსაკუთრებით ოფიციალური გაზეთია და საზოგადო საქმეებს ნაკლებად მიაქცევს ყურადღებასაო.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ წელს ქალების საეპარქიო სასწავლებელში ტფილისს სწავლა გაათავა თხუთმეტმა ქალმაო.

*** კახეთიდამ გვწერენ, რომ წელს ბ-ნ ახალმა გუბერნატორმა თელავში ყოფნის დროს იკითხა, რატომ წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებლის შენობა რიგზედ არ არის შეკეთებულიო. ამის პასუხი იყო, რასაკვირველია, შეუძლებლობა და სიღარიბე. მაშინადვე ბ-ნ გუბერნატორმა ამოიღო 50 მანათი და შესწირა სასწავლებლის საჭიროებას. ასეთმა ყოვლად მოსაწონმა მაგალითმა უცებვე გამოიწვია საქებური მიბაძვა და ბ-ნ მაზრის უფროსმაც მიაწოდა სამი თუმანი. შემდეგ იქ დამსწრე საზოგადოებაც დაიჩარჩა და რამდენსამე წამში მოაგროვეს სასწავლებლის სასარგებლოდ 250 მანათი.

*** იქიდამვე იწერებიან, რომ ყვარელის მცხოვრებთ თხოვნა მიართვეს ბ-ნ გუბერნატორს: მდინარე დურუჯი ძრიელ მოდიდდება ხოლმე და დიდსა უშველებელს ზარალს გვაძლევს. ამისთვის ნება გვიბოძეთ, რომ სახელმწიფო ტყიდამ გამოვიტანოთ ფიჩხი გოდორ-ყურთა გასაკეთებლადაო. ბ-ნ გუბერნატორს სამართლიანად უცვნია ეს თხოვნა და დაჰპირებია — ინჟინერებს გამოგიგზავნით, რომ ამ საქმეში ხელი შეგიწყოთო. იქაური თავადებიც დაჰპირებიან ყვარელის მცხოვრებთ — ტყითა და კაცით ჩვენც დაგეხმარებითო.

*** ქიზიყიდამ გვატყობინებენ, რომ უკანასკნელ ხანებში დასეტყვილა ჩუმლაყი. გარდა ამისა ნაცარი, ეს უადგილო და უსიამოვნო სტუმარი, წელსაცა სწვევია სიღნაღის მაზრის ვენახებს.

*** ბევრი კარგი წესები შემოიღეს ტფილისის საპატიმროებში, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მეცადინეობაა საჭირო, რომ ტუსაღების მდგომარეობა შემსუბუქდეს იმდენად, რამდენადაც ეს სასურველია საზოგადოებისათვის. მაგალითად, მოხდება ხოლმე, რომ ზოგი პატიმარი ცოტა-მატა რამეზეა დაჭერილი, ზოგმა თითონაც არ იცის, რაზეა დაპატიმრებული, და ბევრიც სხვა ამ გვარი ჰოარაობა. ძრიელ კარგი იქნებოდა, რომ საპატიმროს გამგეობას უფრო ბეჯითი ყურადღება მიექცია პატიმრებისათვის და მათი თხოვნა აღესრულებინა შეძლებისამებრ. ამისთვის ურიგოდ არ მოიქცევოდა ხსენებული მმართველობა, რომ შემოეღო, ვთქვათ, ასეთი წესი: რა წამსაც პატიმარმა შეიტანა თხოვნა, მაშინათვე მისცენ მას ამისი კვიტანცია და ნომერი, რომლითაც ეს თხოვნა უნდა გაიგზავნოს; შემდეგ, როდესაც ამის პასუხი დაბრუნდება, მაშინათვე შეატყობინონ პატიმარს, რომ იმან იცოდეს თავისი მდგომარეობა და ბედ-იღბალი. ამასთანავე კარგი იქნება, რომ ციხის უფროსს დანიშნული ჰქონდეს რამდენიმე დღე კვირაში, როდესაც უნდა უეჭველად ინახულოს პატიმრების ყოფა-ცხოვრება და გამოიკითხოს, ხომ შეწუხება არა აქვსთ-რა დამწყვდეულებს მდაბალ მოხელეებისაგან. ამისთანა წესები უეჭველია შეამცირებენ პატიმრების უკმაყოფილებას თავის მმართველებზე.

აგრეთვე კარგი იქნებოდა, რომ საპატიმრო ბიბლიოთეკის წიგნები იხმარებოდნენ დანიშნულებისამებრ. მაშინ აღარ გავიგებდით საჩივარსა, რომ პატიმრებს დაბადებისა და სახარების მეტს არას აძლევენ საკითხავადა, მაშინ როდესაც სხვა საკითხავი წიგნებიც ბევრი შესწირა საზოგადოებამ მეტეხის ციხესა.

*** ელადიკავკავიდგან გვწერენ: ოფ. ჯიხელ ში ყვავილი გაჩნდა, და თუმცა ჯერჯერობით დიდი ზარალი არ მიუცია სოფლისათვის, მაგრამ მაინც საშიშია, რომ ერთბაშად არ მოედვას სხვა სოფლებსაც. ურიგო არ იქნებოდა, რომ ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და ამცრელები გაგზავნონ სხვა-და-სხვა სოფლებში. რამდენადაც ეს ამბავი უსიამოვნოა, იმდენად სასიხარულო უნდა იყოს, რომ ამ უკანასკნელ დრომდე მინდვრის ოსთა სოფლებში ძალიან ხშირი იყო ქურდობა და ზოგჯერ კაცის კვლაც მოხდებოდა ხოლმე. კვირა არ გაივლიდა ისე, რომ ვისმეს საქონელი არ დაჰკარგვოდა და ეხლა კი ავკაცობა თან-და-თან კლებულობს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ლიხაური (გურია), 16 ივნისს. ლიხაურის საზოგადოება მდებარეობს ქ. ოზურგეთიდგან სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრით 5 ვერსტის მანძილზედ. ამ საზოგადოების უმეტესს ნაწილს უჭირავს ტრიალი, სწორე ადგილი აჭარა-გურიის მთის ძირში; რამდენიმე სოფელი-კი (როგორც: ქაქუთი და აჯი) მოთავსებულია მაღლობ, გორაკებიან ადგილებზე. ლიხაური დიდი საზოგადოება არ არის: 350 კომლამდე გლეხობაა და 60 სხვა-და-სხვა წოდებისა. ლიხაურის ჰავა ძლიერ საღია და ნიადაგი საკმაოდ ნაყოფიერი. ხე-ტყე და საზოგადოდ საშენი მასალა იქ უხვად იშოვება. ამიტომაც ლიხაურში თითქმის ყველას კარგად მორთული და აგებული სახლები აქვს. ღარიბი სახლობა იქ იშვიათია, უმეტესს ნაწილად შეძლებულნი არიან. ხშირია იმისთანა ოჯახობა, რომელსაც 100—200-მდე ფუთი სიმინდი მოსდის გასასყიდი. ამას გარდა იქაურებს აღებ-მიცემა, ვაჭრობა ძალიან ეხერხებათ ასე, რომ ოზურგეთში არც ერთ სხვა გურიის საზოგადოებიდგან არ არის იმდენი მოვაჭრე, რამდენიც ლიხაურიდგან. თუმცა ასეთი გამრჯელი და მომგები ხალხია ლიხაურლები, მაგრამ მათ შორის უსაქმოდ მოტანტალე კაცების რიცხვიც ცოტა არ არის. ყოველს დღეს და ყოველს ჟამს შეგიძლიანთ ჰნახოთ იქაურ სკოლადუქნებ-კანცელარიასთან ასეთი უსაქმო ხალხის გროვა, რომელიც ქაღალდისა და «დამკის» თამაშობაში ატარებენ დროს. რა ვუყოთო, მეტყვის ვინმე, ყველა გურიის სოფლებში ასეაო. კიდევაც ეს არის შემაწუხებელი და დამაღონებელი, რომ ეს ავნე ჩვეულება საზოგადო სენად არის გადაქცეული და საყოველთაო ზარალი მოაქვს, თორემ მარტო ერთს და ორს სოფელში რომ ტრიალებდეს ეს უბედურება, კიდევ ჰო, გაუძლებდა კაცი!

როგორც მითხრეს და დამარწმუნეს,

---

კადეში შესაძლებელია იყოს დადეში, რომელიც კადეშისავით არის დამცველი მტევრის სათავეში მყოფ ორმთას (ორონთას) შუა მდებარე ველისა და 3) ქეთეია უნდა იყოს აწინდელი ქუთაისი, მისთვის უფრო, რომ მას ძველ დროიდგანვე ერთი გადაწყვეტილი სახელი არა ჰქვიან: იგი ხან იწოდება კიტაიად, ხან კიტეად, კიტიეონად, ქუთაისიონად, კოტაიზიად, კოტიაიონად და თვით ქართველნიც მას უწოდებენ ქუთაისს, ქუთათისს, მეგრელები-კი ქუთეისს და სხვ.

მივიღებთ რა ყოველსავე ამას მხედველობაში და არ დავივიწყებთ იმასაც, რომ თვით მისირიაში მრავალი სიტყვები და სახელები იმ ძველის დროისა ან სრულიად ქართულია, ან ქართულის მსგავსი, უნდა ვსთქვათ, რომ ა) გაიდ კლერკი და ჩუბინაშვილი არა სცდებიან, როდესაც მცირე-აზიისა და სამხრეთ ევროპის სახელების ახსნას სცდილობენ ქართულის ენის შემწეობით და ბ) ასე გავრცელებულ ხალხს და ამასთანავე მეომარს, ძლიერს შეეძლო დაეპყრო მისირია, რომელიც მაშინ თითქმის ქართველების მომიჯნავე, მეზობელ ქვეყნად ყოფილა.

მაგრამ ფაქტი ქართველებისაგან მისირიის დაპყრობისა რომ მაინც უარვყოთ და ქეთეიელები ქართველებად არა ვცნათ, მაინც სხვა საბუთებიც, რომელთაგან ზოგიერთნი ზემოდ დავასახელეთ და რომელთაგან ზოგიერთსაც ეხლა აღვნიშნავთ, საკმაოდ გვიჩვენებენ ქართველების მჭიდრო კავშირს, მისვლა-მოსვლას მისირელ-ეთიოპელებთან.

ჰეროდოტი გარდმოგვცემს ეთნოგრაფიულ ცნობებს მისირიელებზე. იგი ამბობს[57]), «როდესაც ჭაბუკი შეხვდება მოხუცსა, განზე გადგება და უთმობს გზას; როდესაც მოხუცი მივა იქ, სადა სხედან ახალგაზდანი, მაშინ ეს ახალგაზდანი ფეხზე წამოუდგებიან». ამ ცნობებს რომ ჰკითხულობ, გგონია, ჰეროდოტი აწინდელ ქართველებზე ლაპარაკობსო.

ამას გარდა შესანიშნავია მისირიული ნეტერ-კერის მზგავსება ნეტარკართან და იგივეობა ამ გვარ რწმენისა.

ქართველთა და მისირიელთა კავშირის აღსანიშნავი ფაქტები კიდევ არის, მაგრამ იმათზე ქვემოდ გვექნება საუბარი.

**

გონების თვალს გადავავლებთ რა ყოველსავე ზემორე მოყვანილს, დავინახავთ, რომ ქართველთა უუძველეს დროშივე სცოდნიათ სელისაგან ტილოების ქსოვა, გაჩაღებული ჰქონიათ აღებ-მიცემობა, და ვაჭრობა არა თუ მარტო შავს ზღვასა, მარმარილოსა და ხმელთა-შუა ზღვებზე, არამედ კასპიისაზედაც, რიონ-მტკვრის აყოლდაყოლებით ინდუსტანამდე; სცოდნიათ რკინეულობისა და სპილენძეულობის კეთება, იარაღებისა, ჩაფხუტებისა და ჩაჩქნების გაკეთება, ფარისრების მოხმარება, გამაგრებულ ქალაქებისა და ციხეების აგება, ასე რომ მე-V ს. ქრისტეს წინად საქართველოში უკვე შემოვიდა შენობების ქვითკირით აგება და კრამიტით დახურვა და იმდენად კეთილ-მდგომარეობაში ყოფილან ქართველნი იმ ძველ დროში, რომ საჩუქრად ჰქონიათ სპარსეთის ხელმწიფე დარიოზისათვის, რომელმაც საქართველოსთან ერთად დაიპყრო ბაბილონი, ასურეთი და მრავალი სხვა ქვეყნები, ეძლიათ ყოველ-წლივ 500 ტალანტი ხარკი. ამას გარდა კიდევ საყურადღებოა ჩვენება პლინიოსისა[58]), რომელიც გვაუწყებს, რომ როდესაც პომპეიმ დაამარცხა მიტრიდატ დიდი პონტის მეფე, ჰპოვა აქ დიდ-ძალი მარგალიტი, სხვა ძვირფასი ქვანი, ალმასი და სხვ. ეს ქვანი მანამდე გაცნობილი არა ჰქონდათ რომაელებსაო და პომპეიმ-კი რომში მოიტანა სხვათა შორის 33 გვირგვინი, რომელნიც მოჭედილნი იყვნენ ამ გვარ ქვებითაო. მანამდე რომაელებს არა ჰქონდათ გაცნობილი აბრეშუმეულიო და ესეც რომში შემოვიდა რიონ-მტკვრის გზიდამ ცეზარის დროსაო. ამ დროიდგან რომაელებში შემოვიდა მდიდრულის ცხოვრების სურვილიო და მარტო ამ ძვირფასს ნივთებისათვის ყოველ-წლივ აღმოსავლეთისაკენ იგზავნებოდა 5 მილლიონიო.

უსლარი ამბობს: ის გარემოება, რომ შავი-ზღვის პირებზე, პონტის სამეფოში, აღმოჩნდა იმდენი და იმ გვარი ძვირფასი ქვა, რომელმაც გააკვირვა მთელი ძველი მსოფლიო, აიხსნება მხოლოდ იმითიო, რომ საქართველოს უხსოვარ დროიდგან ჰქონდა სავაჭრო გზა ინდუსტანამდეო, საიდგანაც გამოჰქონდათ ეს ქვებიო[59]).

**

ახლა ვიკითხოთ: ამ გვარ ხალხს, რომელსაც ჰქონდა აღებ-მიცემობა და მისვლა-მოსვლა ყველა მაშინ ცნობილ ერთან, ხალხს, რომლის ერისთავის ბრწყინვალე სასახლეში განათლებულმა ქალმა მედეამ და მის ქვეყნის სიმდიდრემ გააკვირვა არგონავნი (მე-XII ს. ქრისტეს წინად), იმ გვარ ხალხს, რომელსაც ჰყოლია თავისი ფილოსოფოსი — ვიმეორებთ ამ გვარ ხალხისათვის საჭირო იყო ჰქონოდა თვისი ანბანი, წერის ნიშნები, თუ არა? თუ საჭირო იყო და ჰქონდათ კიდეც, რომელი ნიშნები (ასოები) ჰქონდათ: ხუცური თუ მხედრული?

პირველს კითხვაზე ჩვენ მივუგებთ: დიაღ, საჭირო იყო ნიშნები და ქართველები ამისთვის სრულიად მომზადებულნი იყვნენ რაოდენისამე საუკუნით ადრე, ვიდრე ფარნაოზი გამეფდებოდა. იგინი იმ დროს სწორედ ისეთს ყოფაში იყვნენ, რა ყოფაშიაც ერი იგონებს ანბანსა. აი ამ გვარის ყოფის სურათიცა: ამ გვარი ყოფაა მაშინ, როდესაც ა) კაცის აზრი გაღვიძებულია, მისი ფანტაზია შემოქმედობას, ფერებისა და სახეების დახატვას მიჰყოლია; ბ) ცხოვრება გალეიძებულია: მუშაკობას, აღებ-მიცემობას, ნაოსნობას და სხვ. საფუძველი მისცემია. კაცს, კაცებს, ტომს მოუხერხებიათ შეჯგუფება, შეერთება, კერძო ინტერესები დაუმორჩილებიათ საერთო ინტერესებისათვის და დაუდგენიათ ერთი სამთავრო ანუ სახელმწიფო, — როდესაც, ვამბობთ, ერი ამ გზაზედ დამდგარა, მაშინ საჭირო შექმნილა ნიშნების ანუ ანბანის შემოღებაც.

რომ ქართველთ ცხოვრება უუძველესის დროებისა ბევრად თუ ცოტად აკმაყოფილებს ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრსა, ცხადია ამას გვიმტკიცებენ ზემორე მოყვანილი ცნობანი ქართველებზე. მართლაცა და თუ ქართველებმა გზის მაჩვენებელი დაფები ზედ წარწერით ბერძნებზე ადრე იცოდნენ და ამ ბერძნებმა-კი ამ გვარ დაფების გაკეთება ისწავლეს არა უგვიანეს მე-VII საუკუნისა, მაშ ქართველთ რამდენის საუკუნით ამაზე ადრე უნდა სცოდნოდათ. და თუ ამ დაფებზე იყო წარწერა, ვკითხოთ: რა ენაზედ იყო და რა ანბანით? თუ უცხო ენაზედ და უცხო ანბანით იყო დაწერილი ეს წარწერანი, მაშ სჩანს ქართველთ მაშინაც კარგად სცოდნიათ უებარი მნიშვნელობა ანბანისა და თუ იცოდნენ, რატომ თავის საკუთარ ანბანს ველარ იგონებდნენ?

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

[57]) ლენორმანი, გვ. 164.

[58]) კ. რიტტერ, Истор. землевѣд., გვ. 80.

[59]) უსლარი გვ. 422.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხავებსაც მკვიდრი ბინა ჰქონიათ ლიხაურში. მსხვერპლიც ბევრი ჰყავთ თურმე და ხალხს ეუბნებიან, არამც და არამც ნასწავლს ექიმებს არას შემთხვევაში არ მიჰმართოთ და იმათგან არა იწამლოთ-რაო.

**

ვინც ლიხაურლების ცხოვრებას დაუკვირდება, ერთს განსხვავებას შეჰნიშნავს სხვა გურიის სოფლებთან შედარებით. მე მოგახსენებთ პირ-და-პირობაზედ. ქვეშ-ქვეშით მტერობა, ქალაჩუნობით მოტყუება იქ ძვირად მოიხდება. ლიხაურელმა იცის, ვინ არის მისი მტერი ანუ კეთილის-მყოფელი და მუდამ მზადაა ერთსაც და მეორესაც დაუფარავი, ჯიქური პასუხი მისცეს. ამ გვარს შემთხვევას, სამწუხაროდ თუ სასიხარულოდ, ლიხაურელი გაუხდია მეტის-მეტად თავ-მოყვარე. არა იშვიათად, მცირეოდენი შეურაცხყოფა მოთმინებიდგან გამოიყვანს ლიხაურელს და ზოგ ჯერ სისხლსაც დააღვრევინებს თუ მაშინვე ვერ მოუხერხა თვის შეურაცხმყოფელს სამაგიეროს გარდახდა, შემდეგისათვის მაინც სცდილობს, რომ შეურაცხყოფა და „აბუჩა" არ დასთმოს: «სული აგერ კაბალახის ყურში მაქვს გამოსკნილი»; „შენი სიცოცხლე აწი იმის თოფის კვესის გულშია, იცოდე და მომერიდე". აი, რა სიტყვებს ამბობენ ისინი, როცა გული მოუვათ, და არც ტყუილ-უბრალო კვნესა და ბაქიაობა იციან ამ გვარს შემთხვევაში. ლიხაურელმა რაც ერთხელ სთქვა, რაც ერთხელ გადასწყვიტა ავი იყო თუ კარგი, უსათუოდ უნდა აღასრულოს. ნათქვამის სიტყვის გადაყლაპვას და თავის გარდაწყვეტილების დარღვევას სიკვდილი ურჩევნია. კაცის მოკვლაზე ისე აქვთ თვალი და ყური შეჩვეული, რომ არც-კი უკვირთ, არც-კი ეთაკილებათ კაენისაგან ნაანდერძევი ბოროტ-მოქმედება. ერთი მკვლელობა აქ ამ ახლო ხანებშიაც მოხდა. აზ. კობალაძე მოჰკლა აზნაური ვე თაყაიშვილი და აი რატომ: წელს ახალ-წელიწადს თაყაიშვილს გაულახავს მკვლელის კობალაძის ძმა. შემდეგ კობალაძე შეჰხვედრია, თაყაიშვილს და უთქმს:

— ეს როგორ გეკადრებოდა კალანდას (ახალ-წლიწად დღეს) რომ ძმა გამილახე. ხომ იცი, ძმის შეურაცხყოფას არ დასთმობო.

— არ დასთმო და შენ უარესი მოგივაო, უპასუხნია თაყაიშვილს.

— აბა ვნახოთ, ვისი აჯობებსო, უთქვამთ კიდევ ერთმანერთისათვის და განშორებიან.

ამის შემდეგ გაჩენილა კობალაძესა და თაყაიშვილს შუა ჭორის მიტან-მოტანა, მიეთ-მოეთი: „კობალაძემ შენთვის ეს სთქვა" „თაყაიშვილი შენ ასე გიპირებს", — ერთის სიტყვით ორი საპატიო ოჯახი დაღალულა ასეთის ამბების ზიდვით-იქით და მანამ არ მოუსვენიათ, სანამ კობალაძე ამ მკვლელობას ჩაიდენდა.

როგორც მითხრეს, შეიძლება, რომ ერთი მშვენიერთა სქესის წარმომადგენელიც რეულიყო ამ ჭორიკანობაში. ქება და დიდება, სახელი და პატივი მათს ენა-შაქრიანობას, რომ ხალხი კაცის-მკვლელობამდე მიყავთ!

**

როგორც „ნაშთი ძველის დიდებისა", ლიხაურს ამაყად გამოსცქერის ერთი მაღალი, მოხერხებულის გორაკიდგან საკმაოდ მოზრდილი ციხე, თითქოს ეუბნება ლიხაურლებს: „სირცხვილი თქვენთვის, რომ თქვენნი წინაპარნი თუ ხმალს ამოიწვდიდნენ ქარქაშიდგან, თუ თოფს ამოუფერვიდნენ კვესის გულს, არა მოძმეთა სასიკვდილოდ, არამედ სარწმუნოების და მამულის მტრის განსადევნელად და შესამუსრავად. თქვენ-კი დარევიხართ და ჰხოცავთ ერთმანერთს. რა პირით უნდა წარსდგეთ თქვენ წინა-პართა წინაშეო."

ამ ციხის აშენებას თამარის დროს აწერენ.

ლიხაურს ჩამოუდის თითონ ლიხაურელებსავით გულ-ფიცხი, მაგრამ გულ-წმინდა ჩქრიალა, მრავალ-კალმახებიანი მდ. აჭის-წყალი. ამ მდინარეზედ აქამდე ხეირიანი ხიდი არა ჰქონდათ, რის მიზეზითაც წელიწადში რამდენისამე კაცის სიცოცხლე ხდებოდა ამ გარემოების მსხვერპლი. წელს ოზურგეთში მოვაჭრეს, იქაურს მკვიდრს ო. ურუშაძეს აუგია ამ მდინარეზედ მშვენიერი ხიდი, რომელზედაც არა თუ ქვეითი და ცხენოსანი, არამედ ურემიც თავისუფლად დადის. მადლობის ღირსია ბ-ნი ურუშაძე ამ კეთილის საქმისათვის, მაგრამ კეთილი საქმე მადლობას არა საჭიროებს და რომ საჭიროებდეს კიდეც, ჩვენში მაინც არავინა ჰყავს კეთილს საქმეს მადლობის მთქმელი და დამფასებელი!..

დათიკო ვერმიცანაშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთი „С. Петерб. Вѣд"-ი შესდგომია ოსმალეთის სახელმწიფო კაცებისა და ფაშების ვინაობისა და მოღვაწეობის გარჩევასა და გამოძიებასა. ფაშები ოსმალეთში უფრო ფულის მოყვარულნი არიან, ვიდრე თავიანთ ქვეყნისაო.

თითოეულ საელჩოს სტამბოლში თავ-თავისთვისა ჰყავს მოსყიდული ფაშა, რომელიც ატყობინებს საელჩოს ყოველ გვარს საჭირო ამბავს ოსმალეთის პოლიტიკის შესახებს.

გაზეთი ზიზღით იხსენიებს ამ გვარს მოსყიდულს ფაშებს თავიანთ ქვეყნის დალატისა და მუხანათობისათვის და მართლაც ღირსნი არიან ასეთის ხსენებისა. მაგრამ გაზეთს არც ის უნდა დაავიწყდეს, რომ რამდენადაც საზიზღარია მოსყიდული და ქვეყნის მოღალატე, იმდენადვე საზიზღარია ისიც, ვინც ამ აზრით გზასა და კვალს უხნევს კაცს, და ახარბებს ფულს და ასეთის მოსყიდვით დ აკარგვინებს სინიდისსა და პატიოსნებას. თუ ქრთამის ამღები საძაგელი და უპატიოსნო, ვგონებთ, არც ის არის სიყვარულის ღირსი და პატიოსნებით სავსე, ვინც ქრთამებს არიგებს, ხალხი მოსყიდული ჰყავს თავის მრუდე და ბნელის საქმეების გასასწორებლადა და გასათეთრებლად.

ინგლისსაცა ჰყოლია თავისი საიმედო კაცი ამ ფაშებ შორის, და არა თუ ერთი, არამედ რამდენიმე. თვით დიდი ვეზირი ქიამილ-ფაშა და შინაგან საქმეთა მინისტრი მუნირ-ფაშა დიდი მომხრენი არიან ინგლისისაო.

ყველამ იცის, ამბობს გაზეთი, — რა ნაირ დაეხმარა ქიამილ-ფაშა ინგლისს ეგვიპტის საქმეში. ასეთივე დახმარება გაუწია ბოლგარიის საქმის თაობაზედაც. მაგრამ უმთავრესი მომხრე ინგლისისა-კი ქიამილ-ფაშა-კი არ არის, უფრო მუნირ-ფაშაა.

როცა საიდ-ფაშა იყო მთავარ-მინისტრად, მუნირ-ფაშა იძულებული იყო დაეტოვებინა სამინისტროვო, მაგრამ, როცა ქიამილ-ფაშამ მიიღო დიდი-ვეზირობა, მუნირ-ფაშა კვლავ შესკუპდა მაღლა თაროზე და იქიდამ

სცდილობს გაარიგოს ინგლისის საქმეები და გვავნოს ჩვენა. სცდილობს ყველგან, სადა-კი ხელი მიუწვდება: სამინისტროშიაც, სასახლეშიაც, ადმინისტრაშიაც და უფრო მეტად მწერლობაში, რომელიც მთლად იმის ხელშია. ოსმალურმა გაზეთმა რომ ინგლისის საწყენი სიტყვა სთქვას, მაშინვე ან შეაჩერებს, ან გააუქმებს ამ გაზეთს. ჩვენზე-კი, რაც უნდა ილაპარაკოს, ხმასაც არა სცემს. ეს კიდევ არაფერი. თვითვე დაარსა გაზეთი, სახელად „მიზან", რომელსაც საგნად აქვს მხოლოდ ჩვენი ურიგო ილაპარაკოს და აქოს და ადიდოს დიდება, ძლიერება და დიდსულოვნება ინგლისისა.

ასეთი კაცი ყოფილა ბ-ნი მუნირ-ფაშა, რომელსაც, გაზეთის აზრით, ბევრი ფული უნდა მიეღოს ინგლისისაგან, რადგან ასე თავ-განწირვით იცავს ინგლისის ინტერესებს!

ვითომ სხვა მიზეზი არა იყოსრა?

## რუსეთი

— „Русскій Инвалидъ"-ი გვატყობინებს შემდეგს ცნობებს ქალაქ ვერნის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში იმსხვერპლა საშინელმა მიწის-ძვრამ. ვერნი დაუარსებიათ 1855 წელს ძველის ქალაქის ალმატის ადგილზე. მაშინ ვერნი ითვლებოდა ქალაქად-კი არა, არამედ უბრალო სიმაგრედ, სადაც მოთავსებული იყო ალათავის ოლქის მმართველობა. 1868 წლის შემდეგ ვერნი ცნობილი იქმნა ქალაქად. 1879 წ. ვერნაში ითვლებოდა 14,837 მცხოვრებელი, ჯარების გარდა. ასს კაცზე ითვლებოდა 54 ქალი. უმეტესს ნაწილს მცხოვრებლებისას შეადგენდნენ რუსები; უმცირესს-კი — თათრები, სარტები და დუნგანები. რუსები განსაკუთრებით მისდევენ ხვნა-თესვას.

— გაზეთს „Новости"-ს სწერენ შაველის მაზრიდგან: ერთის სოფლის მახლობლად მომხდარა შემდეგი საცოდაობა: ერთმა გლეხის ქალმა, ოც-და-ათის წლისამ, ტყეში შობა ორი ყმაწვილი მდედრობითის სქესისა. რადგანაც საცოდავს ქალს დედის შიში ჰქონდა, ამიტომაც მან ყმაწვილები ორმოში ჩასდვა და ზედ სილა წააყარა. იმავე გზით მიმავალმა მემამულემ შენიშნა თუ არა გაფითრებული ქალი და საფლავი, იმ წამსვე შეატყობინა მამასახლისს. როდესაც შვილების მკვლელი დედა მოიყვანეს სოფელში, ხალხი წყევლითა და გინებით მივარდა დამნაშავეს და საცოდავი ძლივს გადურჩა განრისხებულთა მსჯავრსა.

## უცხოეთი

საფრანგეთი. ამ ჟამად საფრანგეთის დეპუტატთა პალატა იმ სამხედრო ბეგრის კანონ-პროექტს განიხილავსა, რომლის ძალითაც ჯარში გასვლა ყველასათვის უნდა იყოს სავალდებულო სამის წლის განმავლობაში. ეს კანონპროექტი ახალი ამბავი არ არის, დეპუტატთა პალატის მიერ ორჯელ იყო განხილული და ერთ დროს ცხარედ იცავდა და მფარველობდა ამ კანონს განსვენებული გამბეტტა, რომელიც იმ დროს პარლამენტის სამხედრო კომისიის პრეზიდენტი იყო. ეხლანდელის კანონით ჯარში წასვლა ყველასათვის არ არის სავალდებულო; ამ ვალდებულებისაგან განთავისუფლებულნი არიან სამღვდელო წოდების კაცნი, შეძლებულნი ახალგაზდანი და სხ. ამას გარდა ჯარში ყოფნის ვადაც ყველასათვის ერთი და იგივე არ არის დაწესებული და დაკანონებული. ვინც წილის ყრის დროს დიდს ნომერს ამოიღებს, ის ხუთს წელიწადსა ჰმსახურობს, დანარჩენები-კი ექვსის თვიდგან ერთ წლამდე არიან ჯარში. დასასრულ, ეხლანდელის კანონით ჯარში ნებით წამსვლელნიც მიიღებიან, რომელთაც შეუძლიანთ სულ 600 მან. გადაიხადონ და ერთს წელიწადზე მეტი არ იყვნენ სამხედრო სამსახურში. აი ეს უთანასწორობა და ერთის უპირატესობა მეორის წინაშე არ მოსწონთ ფრანგებს; არ უნდათ, რომ მდიდარი, ან სამღვდელო წოდების კაცი და სხ. მეტის შეღავათით სარგებლობდეს სამხედრო ბეგრის გადახდაში და იმ აზრისანი არიან, რომ ყველას უფლებანი გათანასწორებული უნდა იქმნეს სამხედრო ბეგრის გადახდის დროს, მდიდარმა და სამღვდელო წოდების კაცმაც იმდენივე უნდა იმსახუროს ჯარში, რამდენიც ღარიბმა და შეუძლებელმაო.

საფრანგეთის სამხედრო წოდების კაცნი-კი, მაგალითებრ, გენერალნი კამპენონი, ბულანჟე, ფერრონი, იმიტომ არიან უკმაყოფილონი ეხლანდელის სამხედრო ბეგრის გადახდის კანონისა, რომ ეხლანდელის კანონით ბევრნი ვერ შედიან ჯარში, ადრევე არა სწავლობენ და არ ითვისებენ სამხედრო ცხოვრებასა და სწავლასაო. ბოლოს, როცა ომი და ბრძოლა ასტყდება ხოლმე, შედიან ჯარში ეს მოუმზადებელნი და უსწავლელნი და თუ არ ასუსტებენ საფრანგეთის ჯარს თავის მოუმზადებლობით, არავითარს ძალასა და ძლიერებას არა ჰმატებენო. ერთხელვე ჯარში წაყვანილი დიდხანს ჰყავთ ჯარის-კაცად, მაშინ როდესაც სამი წელიწადი კმარა, რომ ჯარში გაყვანილი მშვენიერს ჯარის-კაცად და მეომრად გამოკეთდეს და მიეჩვიოს სამხედრო ცხოვრებასა და ათას გვარს ნაკლებულობასა ყაზარმისა და სამხედრო ცხოვრებისას. ჩვენი სურვილი ის არისო, — ამბობენ ესენი, რომ მთელის საფრანგეთის ვაჟკაცობა მიჩვეული იყოს იარაღის ხმარებასა და ომში ბრძოლასა, რომ თუ ვინიცობაა სამშობლო რაისამე საფრთხეში იყოს და შიშა მოელოდეს გარეშე სახელმწიფოსაგან, მთელის საფრანგეთის ვაჟკაცობა რაზმებად დაეწყოს და შეუპირისპირდეს და გაუმკლავდეს თავის სამშობლოს მტერსაო.

როგორც მოსალოდნელიც იყო, ახალს კანონ-პროექტს სამხედრო ბეგრის გადახდისას დიდს წინააღმდეგობას უწევს თურმე თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და შეძლებული ვაჭრობა, რომელთაც სურთ, რომ მათმა შვილებმა, თუ სულ არ იყვნენ განთავისუფლებულნი ჯარში გასვლისაგან, რაც შეიძლება ცოტა ხანს იმსახურონ. ამათ გარდა ახალს სამხედრო კანონ-პროექტს წინააღმდეგობენ ზოგიერთნი სამხედრო წოდების კაცნი, რომელთაც ახალი არა მოსწონთ-რა, ძველს გზასა და კვალს თავს არ ანებებენ და იმ აზრისანი არიან თურმე, რომ რამდენიც უფრო დიდხანს იქმნება კაცი ჯარში, იმდენი კარგიაო; რომ საჭირო არ არის, ყველამ იცოდეს იარაღის ხმარება და მომზადებული იყოს სამხედროდ მშვიდობიანობის დროსაო; საკმარისია, თუ ცოტაოდე კარგად გაწყობილი და ნასწავლი ჯარი ეყოლება ქვეყანას და ომისა და ბრძოლის დროს-კი შეიძლება მთელი ვაჟკაცობა იქმნეს ჯარში გაყვანილიო. ამათ ის ავიწყდებათ, რომ თუ მშვიდობიანობის დროს არ მოამზადებენ მკვიდრთა სამხედრო სამსახურისათვის და იარაღის ხმარებას არ ასწავლიან, ესენი არც ომისა და ბრძოლის დროს იქმნებიან გამოსადეგნი და გამოსაყენებელნი. ამათის აზრით, ჯარში გასულმა შეიძლება 5 და 7 წელიწადიც დაჰყოს ჯარშიო და უმრავლესობა-კი ბულანჟესა და ფერრონის მეთაურობით წინააღმდეგია ამისა. ამ უკანასკნელთა აზრით, 5 და 7 წელიწადი შემოკლებულ უნდა იქმნეს 3 წელიწადზე მომავლის წლიდგან და ამას გარდა ჯარშივე უნდა იქმნენ მიწვეულნი ყველა ისინი, რომელნიც ეხლანდელის კანონით განთავისუფლებულნი არიან ამ უკანასკნელ ოთხის წლის განმავლობაშიო.

## გასართობი

ახალი საშუალება საცოლოს საპოვნელად. ერთის პატარა გერმანიის ქალაქ რაიფელდენის გაზეთში დაბეჭდილი იყო თურმე შემდეგი ახირებული განცხადება: „რადგანაც ჩემის ფიქრით ამ მოკლე ხანში დიდი წარღვნა უნდა მოვიდეს მთელს ქვეყანაზე, ამის გამო მინდა გავაკეთო კიდობანი სიგრძით 300 და სიგანით 80 ადლი, რომ წარღვნისაგან თავი გადავირჩინო. ხოლო ამ საქმეში ის მიშლის ხელსა, რომ ამ კიდობნის ასაშენებლად 12,000 მან. ფულია საჭირო და მე-კი სრულიად არა მაქვს-რა. ოღონდ ეს ფული ვიშოვნო და უარს არ ვიტყვი და შევირთავ თუ შემხვდება, ახალგაზდასა და ლამაზს 18 წლის ქალს კარგის ქრთამითა და მზითევითაო".

**

განგებით სიკვდილს გადარჩენილი. ახალგაზდა შოტლანდიის თავადის ქალს კრისტინა მაკ-ივორს ძალიან უყვარს თურმე სეირნობა თავის სამშობლო შოტლანდიის მთებზე და ამ სიყვარულის მიზეზით ამ დღეებში კინალამ სიცოცხლეს არ გამოსთხოვებია ეს ქალი. როდესაც მიდიოდა ერთს მაღალს მთაზე, დიდის უფსკრულის ნაპირას, წაუსხლტა თურმე ფეხი, წაიქცა და დაგორდა ციცაბო კლდეზე. კარგია, რომ უფსკრულამდე არ ჩაგორდა საცოდავი ქალი, თორემ სული არ ჩაჰყვებოდა თან: გორვის დროს მიაწყდა თურმე ერთს ხეს, ხელი წაავლო ხის ტოტს და ზედ ჩამოეკიდა. ამ მდგომარეობაში იყო: მაღლა ამოსვლა ვერ შეეძლო და დაბლა კიდევ უშველებელს უფსკრულს დაეღო თავისი საშინელი პირი. ამასთან გორვის დროს ქალმა ფეხიც იღრძო თურმე. საუბედუროდ ისეთი უდაბური ადგილი იყო თურმე, სადაც ქალს ეს ამბავი დაემართა, რომ კაცი ადამიანი-შვილს ხმას ვერ მიაწვდენდა და არც არავინ ჭაჭანებდა ამ ადგილას. ხის ახლო, რომელზედაც ქალი კიდებულა, დიდი ქვა ყოფილა. საცოდავი ქალი რის წვალებით და ტანჯვით აბობღებულა ამ ქვაზე და ზედ დამჯდარა. დიდხანს მჯდარა და მშველელი არავინ გამოსჩენია; ძილი სდომებია და შიშით ვერ გაუბედნია, ვაი თუ ძილის დროს შევინძრე და უფსკრულში დავეშვა თავდაყირაო. სამი დღე და სამი ღამე მშიერ-მწყურვალი იჯდა თურმე ქალი ამ ქვაზე და ერთი არავინ გამოუჩნდა, რომ მიშველებოდა. წყურვილს იმით იკლავდა, რომ თავის ქოშში წვეთობით წვიმის წყალს აგროვებდა და სვამდა თურმე. მხოლოდ სამის დღის შემდეგ ქალმა შორიდამ დაინახა თურმე ერთის მეთევზის ნავი. საცოდავს ხმის ამოღების ძალ-ღონე აღარა ჰქონდა, დაძახება ველარ შეეძლო და ხელ-სახოცის ქნევით სთხოვა თურმე, მიშველეო. მეთევზეს დაუნახავს, მიჰშველებია და გადურჩენია სიკვდილს.

# დეპეშა

17 ივნისი

პეტერბურგი. მთავრობა გვაუწყებს: 1883 და 1884 წლებს რუსეთში იდუმალმა საზოგადოებამ ბოროტ-გამზრახველთა, სახელად „Народная Воля“-მ, ჩაიდინა ბევრი სხვა-და-სხვა დანაშაულობა. ამ დანაშაულობათა კვალს მთავრობამ მიაგნო 1885 და 1886 წელთა გამოძიებით. ამის გამო შეპყრობილ იქმნა 21 კაცი და ქალი. მათი საქმე გარდაეცა პეტერბურგის სამხედრო ოლქის სასამართლოს გასარჩევად. ამ 21 კაცსა ჰბრალდებათ ისა, რომ იგინი ეკუთვნოდნენ ხსენებულ ბოროტ-გამზრახველთა საზოგადოებას, რომელსაც თავის წადილად გარდაუქცევია ძალ-მომრეობით დათრგუნოს აწინდელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წეს-წყობილება. აღმოჩნდა, რომ სამსახურიდამ გადამდგარმა კოლეჟსკი სეკრეტარმა ლაპატინმა 41 წლისამ, შტაბს-კაპიტანის ქალის სალოვისა (26 წლისაა) და მოხელეს შვილის სუხომლინის (25 წლისაა) შემწეობით, შეადგინა ცალკე დასი, უწოდა „Центральная революціонная организація“ და ხელ-მძღვანელობას უწევდა ამ ბოროტ-გამზრახველთა საზოგადოებას. როცა იგი შეპყრობილ-იქმნა, ამ საზოგადოების საქმეთა ხელ-მძღვანელობა იკისრა პეტერბურგის უნივერსიტეტის კანდიდატმა იაკუბოვიჩმა 25 წლისამ. იმის გარდა, რომ ამ სარევოლიუციო საზოგადოების საერთო მოღვაწეობაში მონაწილეობას იღებდნენ ბრალდებულნი, ზოგმა მათგანმა სხვა კერძო დანაშაულობაც ჩაიდინა. სხვათა შორის მღვდლის შვილმა ოსტროდვორსკიმ 22 წლისამ და კოლეჟსკი ასესორის კონაშევიჩის შვილმა 16 დეკემბერს 1883 წელსა წინად მოფიქრებულის განზრახვით მოჰკლეს პეტერბურგში ჟანდარმის პოლკოვნიკი სუდეიკინი და მძიმედ დასჭრეს მასთან მყოფი მოხელე სუდოვსკი. ნიკოლაევის მცხოვრებელი ანტონოვი 27 წლისა და მოსკოვისა ვოლნოვი 29 წლისა 17 და 24 ოქტომბერს ხარკოვს ახლო დაეცნენ შეიარაღებულნი ფოსტას გასაცარცვავად; მეორედ ფოსტაზე თავ-დასხმის დროს იმათთან ერთად იყო მოზირის მცხოვრებელი ელკო 25 წლისა. თვით თავ-დასხმა-კი ფოსტაზე მოფიქრებულ იყო კოლეჟსკი სოვეტნიკის შვილის ივანოვის მიერ (28 წლისაა). ანტონოვმა, ელკოს შეგულიანებით, 8 იანვარს 1884 წ. ხარკოვს ახლო მოჰკლა გლეხი შკრიობუ; ანტონოვი, სტატსკი სოვეტნიკის შვილი კუზინი 21 წლისა და ოსტროგოჟის მცხოვრებელი ლივადინი 20 წლისა, 17 ნოემბერს 1884 წ., დაესხნენ თავს ფოსტას ვორონეჟის ახლო: ანტონოვმა მოჰკლა ფოსტალიონი. ივანოვმა, გეიერმა და რამდენმამე კიდევ სხვა ბრალდებულმა მოამზადეს ლუგანსკში 1884 წ. ასაფეთქი და სასროლი იარაღები. ორი მათგანი ლოპატინმა მოიტანა პეტერბურგს, ხოლო დანარჩენთ როსტოვში ინახავდნენ ნახჩევანელი პოპოვი 23 წლისა და როგაჩეველი ქალი დობრუსკინი 23 წლისა. 1883 წელს აგვისტოს სტაროდვორსკი თავს დაეცა პოლიციის ყარაულს და ამ გვარად მოახერხებინა გაქცევა ერთს სახელმწიფო დამნაშავეს. ზოგიერთმა ბრალდებულთაგანმა გამართა საიდუმლო სტამბა და ინახავდა სასტამბო კუთვნილებასა. სასამართლომ განიხილა ამათი საქმე 26 მაისიდამ 4 ივნისამდე და განუჩინა: ლოპატინს, სალოვის ქალს, სუხომლინს, ივანოვს, იაკუბოვიჩს, დობრუსკინის ქალს, სტაროდვორსკის, კონაშევიჩს, ელკოს, ანტონოვს, ვოლნოვს, კუზინს, ლივადინს, გეიერს და პოპოვს სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობითა; ეშინსა და ბელოუსოვს—კატორგა ოთხის წლით, კირსანოვს — ციხეში ჯდომა ოთხის თვეით; დანარჩენი სამი-კი გაამართლა. მაგრამ ამასთანავე სასამართლომ იშუამდგომლა, რომ ამ განაჩენის დამტკიცების დროს გარდაწყვეტილ სასჯელის მაგიერ დაენიშნოთ კატორგა: სუხომლინს და ვოლნოვს 15 წლით, კუზინს—12 წ., დობრუსკინის ქალს —8 წ., ელკოს, გეიერს—4 წ., დაშორებულ ციმბირში გადასახლება ბელოუსოვს, ხოლო ციმბირის ახლომახლო ადგილებში გადასახლება ეშინს, პოპოვს და ლივადინისას. განაჩენი და შუამდგომლობა სასამართლოსი დაამტკიცა თანაშემწემ გვარდიისა და პეტერბურგის სამხედრო ოლქის მთავარ-მმართველისამ 15 ივნისს; ამასთან ეშინს გადაეწყვიტა ციმბირში გადასახლების მაგიერ ცხოვრება ტომსკის გუბერნიაში. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება უმაღლესი ბრძანება: ბრალდებულთ ეჩუქოთ სიცოცხლე და ნუ იქნებიან დასჯილნი სიკვდილით, ხოლო ამა სასჯელის მაგიერ გაიგზავნენ კატორგაში: ლოპატინი, ოსტროდვორსკი, კონაშევიჩი, ანტონოვი და ივანოვი უვადოდ, სალოვის ქალი—20 წლით და იაკუბოვიჩი 18 წლით. ხოლო გეიერისა კატორგის მაგიერ გაგზავნილ იქმნას საცხოვრებლად ტომსკის გუბერნიაში.

ვერნი. ივნისის 12 აქსაიზე მოხდა დიდი მიწის-ძვრა, როგორც ვერნაში, და ორს წუთს გასტანა. მეორე დღეს 15-ჯერ ერთად დაიგრგვინა ქვესკნელმა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატამ გამოაცხადა: კარგი იქნება გავიგოთ, თუ რა მდგომარეობაშია ინგლის-ოსმალეთის ხელთ-შეკრულობის საქმე; ამის გამო უცხო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა უპასუხა: ყოვლად შეუძლებელია, რომ ამ ხელთ-შეკრულობამ ომი გამოიწვიოს ინგლისისა და რომელისამე სხვა სახელმწიფოს შორისაო.

ინდოეთის ვიცე-კოროლმა აუწყა მთავრობას, რომ 16 ივნისს ავღანისტანში ნამდვილი ომი მოხდა, ხოლო ვინ გაიმარჯვა, ჯერ არ იციანო.

პარიჟი. სამხედრო მინისტრმა გამოუცხადა საბიუჯეტო კომისიას, რომ საცდელად ჯარის საომარ ფეხზედ დაყენება 8 მილლიონი ფრანკი დაჯდებაო.

18 ივნისი

პეტერბურგი. ამ დღეებში „სემირეჩენსკის“ ოლქაში მიდის გენერალი ზუროვი, რომელსაც განსაკუთრებული მინდობილობა აქვს, მიწის-ძვრისაგან დაზიანებულთ შემწეობა აღმოუჩინოს. ამასთან ერთსავე დროს წავა მეცნიერთა ექსპედიცია, რომელსაც მოთავედ ეყოლება პროფესსორი მუშკეტოვი. მეცნიერთა, სხვათა შორის, უნდა ამოარჩიონ უშიშარი ადგილი ახალის ქალაქის ასაშენებლად დანგრეულ ვერნის მაგიერ.

გაზეთ »Русское Дѣло“-ს ბეჭვდა აღკრძალულია სამის თვით, რადგან გაზეთმა მე-9 ნომერში დაარღვია განკარგულება, უცენზურო ჟურნალ-გაზეთებისათვის გამოცხადებული 23 ნოემბერს 1886 წელსა.

ლონდონი. გუშინ დღით სასახლის ბაღში დიდი დღესასწაული იყო და ამ დღესასწაულზე 7000-დე კაცი დაესწრო.

გუშინ საღამოს დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე წამობრძანდა დარმშტადტში.

18 ივნისი

პეტერბურგი. უმაღლესად ბრძანება მიეცა სენატსა იმის შესახებ, თუ რამდენი კაცი უნდა იქმნას გამოყვანილი ამ წელს სამსახურში. ამ ბრძანების ძალით უნდა გამოყვანილ იქმნან იმ წესით, როგორც სამხედრო ბეგარის საზოგადო წესდება მოითხოვს: 1) ყველა ადგილებიდგან, სადაც სამხედრო ბეგრის წესდება მოქმედობს, ხმელეთის და ზღვის ჯარების შესავსებლად-235,000 კაცი, ამ რიცხვში უნდა მოჰყვნენ ისინიც, ვინც წარმოადგენს ჯარში გამოყვანის დროს სარეკრუტო ბარათსა, რომელიც იმის ნიშანია, რომ სამხედრო სამსახურისაგან თავისუფალი ვარო,—2) თერგისა და ყუბანის ოლქიდგან და იმიერ-კავკასიიდგან—2400 კაცი იმ ჯარის ნაწილების შესავსებლად, რომელიც საკუთრად კავკასიაში უნდა შესდგეს.

სიმლა. ისტადეს ახლოს შეტაკება მოხდა გილზაებსა და ემირის ჯარებს შორის. ემირის ჯარებს მოთავედ გოლამ-ხაიდერხანი იყო. გილზაები დამარცხდნენ და დიდი ზიანიც მიეცათ.

ვენა. კოროლი მილანი წავიდა აღელბერგს, კრაინაში, სადაც შესანიშნავი გამოქვაბულია. იქიდგან კოროლი აბაცში წავა, სადაც შესაძლოა, ორი კვირა დაჰყოს.

პარიჟი. ტირნოვოდგან იუწყებიან: ინგლისის კონსულს სადილი ჰქონდა და ამ სადილზე სტამბულოვმა სთქვა, რომ ბოლგარიის საერო კრება მთავრად კობურგის პრინცს ამოირჩევსო. სტამბულოვი ფიქრობს, რომ პრინცი არჩევანზე უარს არ იტყვისო და თუ, ვინიცობაა, უარი სთქვა, მაშინ პრინცი ბატენბერგი ამოეირჩიოთო.

სოფია, 12 (24) ივნისს ფილიპოპოლის ქალაქის გამგეობის მიერ გამართულ სადილზე ქალაქის თავის სიტყვის პასუხად სტამბულოვმა სთქვა: ბოლგარია გაჭირებიდგან მალე იხსნის თავსო; მთავრობას მტკიცე განზრახვა აქვს დიდს საერო კრებას წარუდგინოს კანდიდატი, რომელიც ყოველს გარემოებაში შესაწყნარებელი იქნება.

პეტერბურგის ბირჟა, 16-ს ივნისს ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — » | — » | 9 20 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 178½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | — » | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — » | 268 |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 250 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | — » |
| ტფილისის ს ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . , | — » | — » | — » |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7395.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

თიბათვე 30 დღით არის

19 დღე პარასკევი. მოცქ. იუდასი, ძმისა უფლისა. კათოლ. ჰერვაზიასი და პროტაზიასი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ მე-10 რიცხვი თთვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—28, ჩადის 7—38. მთვარე 11 დღისაა.

20 დღე შაბათი. წმ. მეთოდესი და ათანასესი. კათოლ. სილვერიასი და ფლორენტინასი. სომეხ. პოვნა ნაწილთა წმ. გრიგოლ სომეხთა განმანათლებელისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—29, ჩადის 7—38. მთვარე 12 დღისაა.

21 დღე კვირა. წმ. მოწ. იულიანესი და ტერენტისა; წმ. საქართველოს მეფეთა არჩილისა და ლუარსაბისა. კათოლ. ალოიზისა და ავრელიანისა. სომეხ. ქორწინების ნება ეძლევათ. მუსულ. მე-12 რიცხვი თთვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ტფილისში დაიწყეს გამოცემა „ამიერ-კავკასიის მოამბისა“, 1836 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—29, ჩადის 7—38. მთვარე 13 დღისაა.

22 დღე ორშაბათი. მოწ. ევსევი ეპისკ. კათოლ. პავლინასი და ფრავიასი სომეხ. წმ. მოწ. ანტონინოსი, თეოფილესი და სხვათა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—30, ჩადის 7 —37. მთვარე 14 დღისაა.

23 დღე სამშაბათი. ქალწ.-მოწ. აგრიპინასი. კათოლ. აგრიპინასივე, ზენონასი და ზენისა. სომეხ. წმ. დანიელ წინ.-მეტყ. და სამთა ყრმათა. მუსულ. მე-14 რიცხვი თთვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—30, ჩადის 7—37. მთვარე 15 დღისაა.

24 დღე ოთხშაბათი. შობა ნათლის-მცემლისა წმ. იოანე წინამორბედისა. აგრეთვე კათოლიკეთა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-15 რიცხვი თთვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—31, ჩადის 7—37. მთვარე 16 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი
### ნიხრი

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. | |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | » |
| » 2 » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3½ | » |
| » » 3 » | 3 | » |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | » |
| მე-3 — . . . | » | » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | » |
| » 2 » | 6 | » |
| სუკი. . . . | 13 | » |
| ცხვრის ხორცი . . . . | 8 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » | » |
| » 2 » | » | » |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით სამუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი


თამბაქო და პაპიროსები

დონის როსტოველ მეფაბრიკეთა

ძმათა ასლანიდებისა.

მაღაზია ყალამქაროვის სახლშია, სასახლის ქუჩაზე, ტფილისში.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პაპიროსის მწეველთა და თუთუნის გამჭართა, რომ ამ წლის 15 თებერვლიდგან ჩვენ დავიწყეთ თამბაქოს გაჭრობა; იდით ყოვლა გვარისა და ღირების თუთუნსა და პაპიროსებს ჩვენის ფაბრიკისას. ჩვენი თუთუნი ისეთის განსაკუთრებულის თვისებისაა, ისეთი კარგი მოსაწევია, გრილია და სასიამოვნოდ ხუნელოვანი, რომ დიდი ხმა აქვს გავარდნილი და დიდ-ძალიც ისყიდება რუსეთის იმპერიის ბევრს დიდს ქალაქებში და სამზღვარ-გარედ. ტფილისში და ამიერ-კავკასიაში დღემდე ჩვენი თუთუნი არ იყო ხმარებაში. ამიტომ დღეს გავმართეთ ზემოხსენებული საფაბრიკო მაღაზია და გვსურს გავავრცელოთ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი. უმორჩილესად ვსთხოვთ პაპიროსისა და თუთუნის მწეველთ, ინებონ და იგემონ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი და პაპიროსები.

ბ.ბ.-ნთ გამჭართ იმდენი დაუთმობთ თუთუნის ხეიდვის დროს, რამდენსაც საზოგადოდ ფაბრიკები უთმობენ ხოლმე.

მეფაბრიკენი ძმანი ასლანიდები.

(25—22)

ნაფიცი ვექილი

ა. ს. ფრენკელი

გადავიდა კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, მაკკერის სახლში.

(3—3)